



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ზაქარიაშვილის  
ჯივნიანი ბიბლიოთეკა

უცნობი ავტორი

წმიდის[ა] მოწამისა  
კოსტანტი კახაიძისი,  
რომელი ქართლს  
იწამა

წმიდის[ა] მოწამისა კოსტანტი კახაძისი,  
რომელი ქართლს იწამა  
უცნობი ავტორი

წმიდის[ა] მოწამისა კოსტანტი კახადსი,

რომელი ქართლს იწამა რომელმან სიბრძნისაგან ღმრთეებისა გამოჩინებითა დღეს ქუეყანასა ზედა აღიყვანა კაცებად ცათა შინა, ვითარცა შენ, ნების მყოფელო ქრისტესო, წინადათვე მისა გსუროდა და კეთილთა საქმეთა მუშაკად გამოშჩნდი ეკლესიათათვს, მოწყალეობად შეიმოსე გამოზრდითა გლახაკთადათა, შეიწყნარე დასთა თანა ზეცისათა, სმენად ჳმისა მის ღირს იქმენ. მოვედით კურთხეულნო მამისა [ჩემისანო], და დაიმკვდრეთ თქუენ ზეცისა სასუფეველი, რომელმან გიწოდა შენ, კოსტანტი.რომელი, ვითარცა ცხოარი მწყემსისა კეთილისაჲ, გმობათა განეშორე, სოფლიოთაგან ქუეყანისათა აღიყვანენ ჳელთუქმნელთა საყოფელთა ზეცისათა, და

მოიგე პატივი გამოუთქუმელი ცათა შინა, რომელი აღუთქუა ქრისტემან ღმერთმან ნებისმყოფელთა თვსთა, ხილვად ღმრთეებისა მისისაჲ, რომელსაცა მიემთხვე ნეტარო კოსტანტი. მითხოე ჩუენ შემასხმელთა სახელისა შენისათა, რათა უგალობდეთ ჩუენ ღმერთსა და მჳსნელსა უკუნისამდე.რაჟამს შეიპყრეს უშჳულოთა მათ სანატრელი კოსტანტი, ხოლო იგი, ვითარცა ძ[ლ]ეული რაჲ ღმრთისაგან, სინანულითა და ცრემლითა განუმზადებდა თავსა თვსსა, რამეთუ წინადათვე სუროდა დათმენითა ასპარეზსა მას ძლევისასა სიმჳნით, და მის თანა წადიერად შეიწყნარებდა მგზავრ ვნებათა, ჳირთა და კრულებათა სიხარულით მოითმენდა, ვიდრემდის მოიწია განსასუენებელსა შენსა, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მეოხებითა მისითა მშჳდობად მოჳმადლე ერსა შენსა! ვითარცა მოიყვანეს წინაშე უშჳულოჲსა მძლავრისა ძლევაშემოსილი მოწამჳ ქრისტჳსი წმიდაჲ კოსტანტი, ხოლო იგი განუმზადებდეს საფრჳესა, რადათა დააბრკოლონ გზისა მისგან ჳემმარიტისა, რამეთუ არცა პატივითა, არცა გინებითა და ჳირითა განეშორა სიყუარულსა ქრისტჳსსა, არამედ სიხარულით მოუდრიკა მახვლსა ქედი, დასთხინა სისხლნი თვსნი, რომლისათვსცა გევედრებით მეოხებითა მისითა, მაცხოვარ, აცხოვნენ სულნი ჩუენნი! რაჟამს მოივლინა

მოსე ღმრთისა მიერ უდაბნოდთ ეგვიპტით გამოყვანებად ძეთა ისრაჲლისათა, და განპებითა ზღვსა მის მეწამულისადათა, ვითარცა ნათელღებულნი, განვიდეს სიხარულით და იტყოდეს: უგალობდეთ ღმერთსა მაცხოვარსა! ვითარცა მოივლინა უფალი ჩუენი ზეცით ქადაგებად სინანულსა, შეიწყნარეს წმიდათა ღმრთის-მეცნიერებისა იგი გალობად, რომელთა თანა წმიდად კოსტანტი სისხლთა დათხევითა ღირს იქმნა პატივსა მოღებად და ღმერთსა უგალობდა! მეოხებითა, უფალო, წმიდისა კოსტანტისითა მივსნენ ჩუენ სიღრმეთაგან უმეცრებისათა და აღმომიყვანენ ცოდვათაგან, რადთა განბანილნი შენ მიერ წმიდათა თანა სიხარულით ძლევისა გალობასა გიგალობდეთ! რამეთუ ბერწისაგან იქმნეს და მოეცნეს სოფელსა წმიდანი, რომლისაგან ეკლესიად გვრგვნოსან იქმნების და სიმრავლჳ-იგი მორწმუნეთად იხარებს საკსენებელსა მოწამეთასა და ქრისტესა უგალობენ განმამლიერებელსა! იქადოდა ძლიერად წმიდად კოსტანტი, რაჟამს წარდგა იგი წინაშე უმჯულოთა, სიხარულით ღაღადებდა და იტყოდა, განვიხარე მე დ[ღ]ეს მაცხოვარებითა შენითა უფალო, და განვრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა, [რამეთუ შენ ხარ] ძალი ჩემი, რომელმან დასცენ მტერნი წმიდათა შენთანი, რომელნი იტყოდეს მაღალსა გარდარევნულად და მისცემდეს დიდებასა შენსა ეშმაკთა, არამედ მეოხებითა წმიდათა შენთადთა განაბნიე ძალი მათი და აცხოვნე სიმრავლჳ მორწმუნეთად! ესმა, უფალო, წინაღსწარმეტყუელსა საიდუმლოდ განკაცებად შენი, რომლითა გამოაჩინენ წმიდანი, მოქცევად წარმართთად ცნობასა ჭეშმარიტებისასა, ვითარცა ხარ მრავალმოწყალე! დაფარნა ცანი შუენიერებამან შენმან უფალო, რაჟამს მოხვედ მამისა მიერ. შეიწყნარეს წმიდათა ღმრთეებად შენი და თავნი მათნი სიკუდილსა მისცნეს და მსხუერპლად შეიწირნეს სასუფეველ[ი]სა.

დასდევ სიმტკიცჳ ძლიერებისა შენისად შორის წმიდათა შენთა, ქრისტე, რომლითა სატანჯველთა უმჯულოთასა დაუთმეს და იტყოდეს: ”გუაცხოვნენ ჩუენ, ღმერთო, მოსავნი შენნი!”

გამოუბრწყინდა მაღლი შენი, ღმერთო, წმიდასა კოსტანტის და

წინააღმდეგა უმჯულოთა სატანჯველსა სიმკნით, და იხილა დიდებად შენი და ღაღადებდა: ”დიდებად ძალსა შენსა, უფალო!”

სახელსა შენსა, უფალო, მარადის სახელს ვსდებთ და წყალობასა შენსა ვაქებთ, რამეთუ ნათლისა გამობრწყინვებითა განაქარვე ღამე იგი უმეცრებისად მეოხებითა წმიდათა შენთადთა, ვითარცა კაცთ-მოწყალე ხარ! ისწავა დღეს სიმართლზე მკვდრმან ქუეყანისამან წმიდამან კოსტანტი და დადუმნა უღმრთოდ ეშმაკი, რამეთუ დათრგუნა იგი შეწევნითა ჯუარისადთა და განძლიერებული იტყოდ[ა], განმანათლე, ქრისტე, ნათლითა შენითა! მშვიდობად შენი მომეც ჩუენ, ქრისტე ღმერთო, საცსენებელსა კოსტანტისა, რადთა დაუკლებელად ვედრებითა მისითა მოვილოთ შეწევნად და პოვნად წყალობისად და ღირს მყვენ მის თანა დამკვდრებად სასუფეველსა შენსა! მსგავსად იონა წინააღმართმეტყუელისა ღაღადებდა შენდამი წმიდად კოსტანტი. განმარინე, უფალო, დანთქმისაგან ცოდვათასა და აღმომიყვანე ნავთ- საყუდელსა კაცთ- მოყუარებისა შენისასა.

მცველთა მათ ამაოთა და ცრუთა მოწყალეობად მათი დაუტევეს, ხოლო წმიდამან კოსტანტი სიყუარულისა შენისათვის სუფევად შეურაცხ-ყო სოფლისად, და სასუფეველსა შენსა ღირს იქმნა!

შემოკრებულნი მორწმუნენი დღეს ტაძარსა შენსა ყოვლითა გულითა შევსწირავთ შენდა მომართ ვედრებასა. მიკსნენ ჩუენ დანთქმისაგან ცოდვათა ჩუენთადსა მეოხებითა კოსტანტისითა!

მოსეს მიერ მოღებითა უჯულისადთა, სამთა მათ ყრმათა ცეცხლ[ი] დაშრიტეს, ხოლო წმიდათა მოწამეთა მოციქულთა მიერ ქადაგებითა შენ აღგიარეს და სისხლთა დათხევითა სასუფეველსა ღირს იქმნეს! შეურაცხ-ყო სოფლისა საშუებელი წმიდამან კოსტანტი და გულის-წყრომასა მძლავრთასა უშიშად წინააღმდეგა, რამეთუ სუროდა დათმენად ღუაწლსა და ვიტყოდეთ: ”კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო [მამათა ჩუენთაო”]. მეოხებითა წმიდისა კოსტანტისითა დამიცვენ ჩუენ, მაღიდებელნი შენნი, და ღირს მყვენ ზიარებად კსენებასა მისსა დღეს,

რადთა სიხარულით ვღაღადებდეთ: ”კურთხეულ ხარ შენ უფალო, ღმერთო [მამათა ჩუენთაო”! ნეტარი კოსტანტი, რაჟამს წარიყვანა ქუეყანისაგან თვისისა და მიიწია ქუეყანად უშჯულოთა, განძლიერებულ იქმნა სულისა მიერ წმიდისა და ბრძანებასა უშჯულოთასა წინააღუდგა და მახვლისა დათმენითა მოწამედ გამოჩნდა და ღმერთსა უფროდსად ამაღლებდა უკუნისამდე! შენ, რომელმან მიეც მაღლი წმიდათა შენთა მოწამეთა და ძლევად მტერთა მიმართ, რომელნი განაქარვებენ საცთურსა მტერისასა, და დაშრიტე საჯუმილი იგი სენთად მორწმუნეთა შენთად, რომელნი ღაღადებდენ: აკურთხევდით [ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა!] ვაკურთხევდით ყოველნი ღმერთსა, მომნიჭებელსა წმიდისა კოსტანტისა, გვრგვნსა ზეცისასა, რომელმან შიში მეფეთად განაგდო და მახვლი შეურაცხ-ყო სიმცნით და მოუდრიკა ქედი, და სიხარულით ღაღადებდა: აკურთხევდით [ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა!] კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან აღმოგვცენა ჩუენ რქად ცხორებისად, ვითარცა იტყოდა: ”რომელმან მოსცნა წმიდანი მოწამენი მნათობად სოფელსა და ეკლესიად განაბრწყინვა!” შენ, რომელი წყაროდსა მისგან ცხორებასა ასუამ, დამაშურალთა იწროდსა მის გზისა მოგზაურთა ფართოებად შეიწყნარებ, რომლითა წმიდად კოსტანტი გვრგვნოსა იქმნა!

ჭემმარიტსა მოქალაქობასა ღირს იქმნა წმიდად კოსტანტი, რომელმან მათი იგი მეფობად შეურაცხ-ყო და გვრგვნი ზეცისად მოიგო, და აწ მეოხ არს სულთა ჩუენთათვის!